№ 123
ოთხშაბათი, 14 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 123
ოთხშაბათი, 14 ივნისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერიის“ რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კაბინეტი კბილის ექიმთა
ფ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ქს. ლ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ადლ საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 14 ივნისი.

გუშინ დეპეშამ გვაცნობა ძლიერ საყურადღებო ამბავი: როზბერის სამინისტრო სამსახურიდგან გადამდგარა და სამინისტრო უნდა შეადგინოს კონსერვატორთა წინამძღოლმა სოლსბერიმ.

ლიბერალთა სამინისტრო სრულიად უბრალო შემთხვევამ დასცა. დეპუტატს ბროდრიკს წინადადება წარუდგენია პარლამენტისათვის, რომ სამხედრო მინისტრის ჯამაგირს ასი გირვანქა სტერლინგი მოაკლდესო. დეპუტატმა განაცხადა, რომ ამ წინადადებით ჰსურს პროტესტი განუცხადოს სამხედრო მინისტრს, რადგანაც სამხედრო უწყებას საკმაო და კარგის თვისების თოფის წამალი და სხვა საჭირო მასალა არა აქვსო. ბროდრიკის წინადადება პარლამენტმა 132 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 125 ხმისა შეიწყნარა. ამის გამო სამინისტრომ შებრალულად სცნო თვისდამი ნდობა ისეთს არსებითს საგანში, როგორიც არის სამხედრო საქმე და სამსახურს თავი დაანება.

ახლად გადამდგარი სამინისტრო შესდგა 1892 წელს უკანასკნელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ამ არჩევნებზედ გლადსტონის მომხრე ლიბერალებს და ირლანდიის ორს დასს ხვდა უმრავლესობა 42 ხმისა და კონსერვატორთა სამინისტრომ ადგილი დაუთმო გლადსტონის სამინისტროს. გლადსტონის სამინისტრომ აღუთქვა ინგლისს რამდენიმე შესანიშნავის რეფორმების მოხდენა. ეს რეფორმები გლადსტონმა აღნიშნა თვისს შესანიშნავს სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ქალაქ ნიუკესტლს. «ნიუკესტლის პროგრამა», როგორც ვთქვით, შეიცავდა დიდს ლიბერალურს რეფორმებს: აგრარული რეფორმა ირლანდიისათვის, ვალისის ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოდგან, გაუმჯობესება და გაძლიერება მუშათა შესახებ კანონმდებლობისა, შევსება და გაუმჯობესება საარჩევანო კანონისა, გაძლიერება ადგილობრივ თვით-მმართველობისა და სხვა. მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი რეფორმა, რომლის ასრულება იკისრა გლადსტონმა, იყო—ირლანდიისთვის სრულის თვით-მმართველობის მინიჭება. საკვირველის მეცადინეობით შეუდგა ახალი სამინისტრო პირობის ასრულებას და ზოგიერთი პროექტი კიდევაც განახორციელა. განსაკუთრებული ბრძოლა გასწია სამინისტრომ ირლანდიის თვით-მმართველობის კანონ-პროექტის გამო. კონსერვატორები და გადამდგარი ლიბერალები (უნიონისტები) სოლსბერის და ბალფურის წინამძღოლობით მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობას, მაგრამ „დიდის მოხუცის“ საკვირველმა და სამაგალითო ენერგიამ სძლია ყოველი დაბრკოლება და პარლამენტმა ჰომრული შეიწყნარა. აღსრულდა მრავალ ტანჯულის ირლანდიის ერის კარგა ხნის სურვილი და ინგლისის ლიბერალთა წადილიც! მაგრამ მათს აღტაცებას მალე ბოლო მოუღო ლორდთა პარლამენტმა. ლორდები წინააღუდგნენ კანონ-პროექტს და უარ-ჰყვეს გლადსტონისტების ჰომრული. ირლანდია და ინგლისის საზოგადოების უმეტესობა დიდად აღელვა ლორდების მოქმედებამ და ბევრგან გაიმართა დიდი მიტინგები, რომელნიც თხოულობდნენ არა თუ ლორდთა უფლების შეზღუდვა-შემცირებას, არამედ ლორდთა პარლამენტის სრულიად მოსპობასაც. ლიბერალთა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება საზოგადო ღაღადს და შეუდგა ახალის კანონის შემუშავებას, რომლით ლორდთა პარლამენტის უფლება უნდა შემცირებულიყო.

ამასობაში მოხუცს გლადსტონსაც უმტყუნა ღონემ და შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე იძულებულ შეიქმნა თავი დაენებებია სამსახურისათვის. მისი ადგილი დაიჭირა ახალგაზდა მოღვაწემ ლორდმა როზბერიმ, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრად იყო გლადსტონის კაბინეტში და რომლის ნიჭსა დიდებული მოხუცი ძლიერ აფასებდა. მეტად ძნელსა და სახიფათო დროს დაიწყო ახალმა მთავარ-მინისტრმა თვისი მოღვაწეობა. შორეულს აღმოსავლეთში გამწვარებული ბრძოლა იყო ამ დროს გაჩაღებული ორის მონგოლთა ერის შორის. ევროპა ამ ომში მტკიცე ნეიტრალიტეტს არ ასცდენია, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს აღმოსავლეთის საქმეებს. დასრულდა ომი. ძლევამოსილი იაპონია და დამარცხებული ჩინეთი სიმონოსეკის ხელშეკრულობით მორიგდნენ. რუსეთი, შეშინებული იაპონიის გაძლიერებით, წინააღუდგა სიმონოსეკის ზავის ზოგიერთ მუხლებს, როგორც თვისის ინტერესების შემბღალველთ და მოითხოვა მათი შეცვლა. რუსეთის მხარე დაიკავეს საფრანგეთმა და გერმანიამ: ხოლო ინგლისი, თუმცა თანაუგრძნობდა გამარჯვებულს და ამიერიდგან რუსეთის მტერს იაპონიასა, მაგრამ აქტიური მონაწილეობა დიპლომატურს ომში არ მიიღო. რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის შეერთებულ დიპლომატიამ გაიმარჯვა და იაპონიამ დასთმო ლიატონგის ნახევარ-კუნძული. ეს თითქმის პირველი მაგალითია, რომ ინგლისის მხრით მონაწილეობის მიუღებლად გათავებულიყოს ასეთი დიდი საქმე. საქმე დასრულდა სწორედ ინგლისის იმედისა და სურვილის წინააღმდეგ და ცხადი იყო, რომ ინგლისმა შორეულს აღმოსავლეთში ზნეობრივი დამარცხება ნახა. ინგლისის საზოგადოება მეტადააღელვა ამ გარემოებამ და შეშფოთებულმა მთავრობამ ინგლისის სახელის აღდგენისათვის ხელზედ დაიხვია სომხეთის საქმე ოსმალეთში, რათა ან რუსეთი გაება მახეში, ან საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის კავშირი უკმაყოფილების ჩამოგდებით დაერღვია ანა და სხვათა დაუკითხავად გარდაეწყვიტა სომხეთის საქმე. ჯერ-ჯერობით ინგლისის პოლიტიკა ამ საქმეშიაც ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად, რადგანაც სამმა სახელმწიფომ აქაც ერთად დაიწყო მოქმედება. გარეშე საქმეთა ამგვარმა მიმართულებამ ლიბერალთა სამინისტროს წინააღმდეგ დიდი უკმაყოფილება დაჰბადა ინგლისში; უკმაყოფილება დღითი-დღე ძლიერდებოდა და საქმე იქამდისაც მივიდა, რომ გლადსტონის დიდებულს სახელსაც უპატიურად ხსენება დაუწყეს...

შესაძლებელია, რომ უკანასკნელი კენჭის ყრა და სამინისტროსთვის პროტესტის გამოცხადება უცაბედად მოხდა, მაგრამ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ლიბერალთა კაბინეტის დღეები ისედაც დათვლილი იყო, რადგანაც ინგლისის ერი ძნელად-თუ აპატიებს თვისს მთავრობას გარეშე საქმეებში დამარცხებას...

თუ გუშინდელის დეპეშის სიტყვა გამართლდა და კაბინეტის შედგენა ვიქტორიამ სოლსბერის მიანდო, უნდა ვიფიქროთ, რომ კონსერვატორთა კაბინეტი თავ-და-პირველად პარლამენტს დაითხოვს და ახალს არჩევნებს დანიშნავს, რადგანაც ახლანდელს პარლამენტში უმეტესობა, თუმცა ძლიერ შემცირებული, მაგრამ მაინც ლიბერალებს ეკუთვნის. ინგლისის ერის ნამდვილ განზრა-

## ფელეტონი

***

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა ია,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტოროლა მაღალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
--„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
„ილხინე, ივერთ მხარეო,
„და შენც, ქართველო, სწავლითა
„სამშობლო გაახარეო“!

ი. ჯ—შვილი.

### „Madame Sans-Gêne“ *).

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ-მოქმედებიანი კომედია
ვ. სარდუსი და მოროსი.

მოქმედება პირველი.
(პროლოგის მაგიერი).

მომქმედნი პირნი პირველს მოქმედებაში:

კატრინ იუბშე, მრეცხელი.
ლეჭევრ, სერჟანტი.
ჭუშე.
გრაფი ნეიპერ.
ტუანონ, ლარუსსოტ, ჟული } მრეცხელნი.
ვინეგრ, მედოლე.
მატიე, პატარა ბიჭი.
გვარდიელნი, მოქალაქენი.

მოქმედება სწარმოებს პარისში 1792 წ. 10 აგვისტოს.

(სუფთა და ნათელი ოთახი მრეცხელისა, სენტანნის ქუჩაზედ. შუაზედ დიდი შუშა-ბანდიანი კარები, გვერდებზედ სარკმლები. მარჯვნით, სიღრმეში კიბე, ზევით სართულში ასასვლელად. კიბეზედ სარეცხი ჰკიდია. ყოველგან მრეცხველისათვის საჭირო საგნებია. მარჯვნით, წინ ეზოში გასასვლელი კარებია. მარცხნით, წინ კატრინის საწოლი ოთახის კარები. მარცხნით, სიღრმეში ბუხარი უთოს გასახურებლად. ორი მაგიდა—ერთი დიდი მარჯვნით, მეორე პატარა მარცხნით—სავარძლები და სკამები).

გამოსვლა პირველი.

მრეცხელნი: ტუანონ, ლარუსსოტ და ჟული მუშაობენ—ზოგი აუთოვებს, ზოგი ალილავებს სარეცხს. შუშაბანდიანი კარები ღიაა, მოსჩანს ქუჩა, ქუჩაზედ დიდი მოძრაობაა—გვარდიელნი, ხალხი, ქალი და კაცი, ბავშვები მიდი-მოდიან. მოისმის ყვირილი, კიჟინა, ზარბაზანის ხმა, თოფების გრიალი. მედოლე დოლის დაკვრით გაივლის მარჯვენა მხრიდგან ქუჩაზედ. ახლო გაისროლენ თოფს, ხალხი მირბის, ქალები შიშისაგან შესძახებენ—მირბიან კარებისაკენ.

ტუანონ. გაიგონეთ? ეშელის ქუჩამდის მოაღწიეს!..

ჟული. საშინელებაა!.. ლამის შიშისაგან მოვკვდე!..

ლარუსსოტ. ეგრე თუ განაგრძეს... ყველა მინებს დალეწს.

ჟული. ოჰ! . მთელს ჩემს სიცოცხლეში ეს დღე არ დამავიწყდება! (ზარბაზნის ხმა) ღმერთო ჩემო! კატრინ რო აღარ მოდის? როგორ არაფრის ეშინია?!.

ლარუსსოტ. განა არ იცი, რომ არაფრის ეშინია?!. ხედავ, ჭუშე აქეთ მორბის!!

ჟული. ოოჰ, ის ვაჟბატონი გმირია ლაპარკში და საქმეში-კი მიმალული?..

ლარუსსოტ. სწორედ ისაა! ჭუშე, ჭუშე, აქეთ! აქეთ! (შემორბის ჭუშე).

გამოსვლა 2.
იგინივე და ჭუშე.

ყველანი. აბა, რა ამბავია?

ტუანონ. სთქვით რაღა!

ლარუსსოტ. იქ იყავით?

ჭუშე. მე? ვიყავი! (მაგიდაზედ დასდებს ქოლგას, ქუდს და რაღაც ტომარას).

ყველანი. მოჰყევით... მოჰყევით!..

ჭუშე. ოოჰ... ცუდად არის საქმე, ცუდად.

ყველანი. რას ამბობთ?

ჭუშე. ჩვენ წავაგეთ... მოიტანეთ აბა ჩქარა ჩემი სარეცხი... თუ მზად არ არის, გაურეცხელი იყოს... უნდა ჩავალაგო!! (ჟული აძლევს სარეცხს, ჭუშე აწყობს ტომარაში).

ლარუსსოტ. მაშ თქვენ გაქცევას აპირებთ?

ჭუშე. გაქცევას? რა სულელური სიტყვაა, გაქცევას-კი არა და წასვლას ვაპირებ!

ტუანონ. საქმე მართლა ცუდად ყოფილა... როგორ იყო?.. რატომ არ გვიამბობთ?

ყველანი. სთქვით... სთქვით!..

ჭუშე. ჯერ ვფიქრობდით, რომ გამარჯვება ჩვენია... მაგრამ...

ჟული. თქვენც ომში ერიეთ?..

ჭუშე. მაშ, მაშ!.. ე. ი. მე შორიდამ ვუცქერდი... ვნახოთ, შვეიცარიელ მეომართ დაგვიშინეს და მოგვაყოლეს ტყვია... ისეთი ჯოჯოხეთური სროლა შეიქნა, რომ ზარბაზნები მივატოვეთ...

ყველანი. ოჰ, ოჰ, ოჰ!..

ჭუშე. და უკან დავიწიეთ! (რაღაც სარეცხზედ) ეს ჩემი არ არის (გადააგდებს) კატრინ კიდევ არ დაბრუნებულა? (ქუჩაზედ მოძრაობაა... ქალები შუა კარებისკენ მირბიან).

ჟული. კატრინ, კატრინ... მოდის, მორბის...

გამოსვლა 3
იგინივე და კატრინ.

(შემორბის კალათით ხელში, თმა აბურძგნული, დაღალული ეცემა სავარძელზედ. ყველანი შემოეხვევიან გარს).

ჟული. მადლობა ღმერთს!

ლარუსსოტ. სად იყავით?.. რა შიში გამოგვარონინეთ!..

კატრინ. ახ, შვილებო... დაიცათ, ერთი სული მოვითქვა... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ამბავიააა!..

ლარუსსოტ. აქ იყავით?

კატრინ. გასაკვირველია!

ჟული. საშიშარი ამბავია?

კატრინ. საშინელებაა!..

ლარუსსოტ. რა დაინახეთ?

კატრინ. სრულიად არაფერი!..

ჭუშე. მაშ რა ხდება იქა?..

კატრინ. მე რა ვიცი! განა მაგისი მცხელოდა, რომ ყველაფერი დამენახა! სენ-ნიკელის ქუჩაზედ მივდიოდი, ვხედავ, დგანან თოფებით. მომაყვირეს: „გაბრუნდი, თორემ ტყვიებს ჩაგაყლაპებთო“, მაგრამ არ შემშინებია... და მივდივარ... მიველ

*) მოურიდებელი ქალბატონი.